აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა



ისტორია

2013 წლიდან შპს ლიფლუქსი დაფნის ფოთლების გადამუშავებით და შემდგომი რეალიზაციით არის დაკავებული, შეიძლება თამამად ითქვას რომ კომპანია დღეისათვის საქართველოში დარგის ერთ - ერთი ლიდერად ჩამოყალიბდა და ყოველწლიური საექსპორტო მოცულობებიც მზარდი ტენდენციით გამოირჩევა.

პროგრამაში მონაწილეობა

აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებით შესაძლებელი გახდა დამატებითი დანადგარების შეძენა, შედეგად კომპანიას მიეცა შესაძლებლობა გაეზარდა წარმადობა, უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა არსებული რესურსები, სრულად დაეტვირთა წარმოება და დაეკმაყოფილებინა დამკვეთების
მოთხოვნები.

კონტაქტი

ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი კაპრიშუმი
ტელ: +995 568 71 69 42, +995 557 06 01 01
m.mgeladze@iset.ge

LeafLux | შპს ლიფლუქსი

პროდუქცია

შეგროვებული დაფნის ფოთოლი თავსდება საშრობ კამერაში და 48 საათის განმავლობაში შრება 50°C ტემპერატურაზე, ეს შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ეთერზეთები (უზრუნველყოფენ სასამოვნო არომატს) და მკაფიო მწვანე ფერი ხანგრძლივი პერიოდის (10 – 12 თვე) განმავლობაში. ფოთლის ტენიანობა შრობის შემდეგ 7-9% - ს შეადგენს. დღეისათვის ასორტიმენტში შემდეგი სახეობებია:

1.მექანიკური შრობის შედეგად მიღებული გადაურჩეველი დაფნის ფოთოლი. დაფასოებამდე დაფნის ფოთოლი გადის შემოწმებას, რომლის დროსაც ხდება დაზიანებული ფოთლებისა და ტოტების მოცილება.

2.მექანიკური შრობის შედეგად მიღებული გადარჩეული მსხვილი დაფნის ფოთოლი (<12 სმ), დაფასოებამდე დაფნის ფოთოლი გადის შემოწმება, რომლის დროსაც ხდება დაზიანებული ფოთლებისა და ტოტების მოცილება. გარდა ამისა დოლურის მეშვეობით ხდება წვრილი და დამტვრეული ფოთლის განცალკევება.

3.მექანიკური შრობის შედეგად მიღებული გადარჩეული დაფნის ფოთოლი (3-8 სმ), გამოიყენება დანადგარზე ავტომატური დახარისხებისთვის. დაფასოებამდე დაფნის ფოთოლი გადის შემოწმებას, რომლის დროსაც ხდება დაზიანებული ფოთლებისა და ტოტების მოცილება. გარდა ამისა დოლურის მეშვეობით ხდება წვრილი და დამტვრეული, შესაბამისი ფრაქციის ფოთლის განცალკევება (3-8 სმ).

4.დაქუცმაცებული დაფნის ფოთოლი, ფრაქცია 1-დან 20 სმ-მდე.

პროდუქცია იფუთება მოთხოვნის შესაბამისად მუყაოს ყუთებში ან პოლიპროპილენის ტომრებში, სტანდარტული წონა 15 კილოგრამია, მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება შეიფუთოს 10 - დან 20 კილოგრამამდე მოცულობით.